

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია

ოქმი № 05

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1

26 ივლისი 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე კუჭუხიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2. ირაკლი ჭანტურია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
3. რევაზ ჩაჩავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
4. გიორგი კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
5. ბაჩუკი ქვილითაია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუჭუხიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

- 1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის ანგარიში 2018 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.*

კ. კუჭუხიძე

მომხსენებელი:

კონსტანტინე კუჭუხიძე

(აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.) :

1. მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის ანგარიში 2018 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის შშმ პირთა მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში 21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ონტოფოს საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს „მზის შვილი“ ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში კი 14 ივნისს შშმ პირთა უფლებების დაცვის ეროვნული დღე აღინიშნა. ხელოვნურ საფარიან მინი მოედანზე სპორტის პარაოლიმპიური სახეობა ბოჩას თამაში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ შშმ პირები, სკოლებისა და ორგანიზაციების მოყვარული გუნდები.

3 მარტს ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. აგრეთვე ჩატარდა ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. შინმოუსვლელთა ობელისკთან ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული-მუსიკალური კომპოზიცია.

განსაკუთრებულად აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების 100 წლის იუბილე. 26 მაისს გულეიკარის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში გადახდილ იქნა საქ. თავისუფლებისა დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი; მოგვიანებით კეთილარის ადმ. ცენტრში, ღია ცის ქვეშ გაიმართა საზეიმო კონცერტი. ვარნის საერთაშორისო ფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში ჩართული იყო აბაშის საზაფხულო კინოსკოლის ფარგლებში გადაღებული ფილმი „გაიზარდა ბიჭი“.

საქ. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2018- ის რეგ. თამაშები 10 მარტიდან დაიწყო. დას. ზონის ჩემპიონები გახდნენ მ/ჩოგბურთში N-1 საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდი და 3X3 კალათბურთში N-2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი.

12- მაისიდან დაიწყო პროექტი სპორტი ბარიერის გარეშე.- მუნიციპალური თამაშები.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში.

სამსახურმა ორგანიზება გაუკეთა რუხის სავაჭრო ცენტრის ინიციატივით, სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სამეგრელოში, ენგურის ხიდიდან 600მეტრში მდებარე რუხის სავაჭრო ცენტრის ფესტივალის,, გზა ერთობისკენ რუხი 2018 -ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში აბაშის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის მონაწილეობას.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ჭანტურიამ, ბაჩუკი ქვილითაიამ, გიორგი კაჭარავამ.

დაადგინეს : ზემოთაღნიშნული სამსახურის 2018 წლის 6თვის გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოსა და ბიუროს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03/1362 წერილის საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული განკარგულების პროექტი, ჩათვალია რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამაკმაყოფილებელია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 5 დეპუტატი;

წინააღმდეგი - არც ერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

/ვ. კუჭუხიძე/